შპს „ვარციხე 2005“

მაღალი წნევის (40 ატმ) კომპრესორის შეძენა (ჰესი #1)

ტექნიკური დავალება

1. ზოგადი დახასიათება

შპს „ვარციხე 2005“-ის თითოეული ჰიდროაგრეგატის მუშაობა უზრუნველყოფილია დამხმარე მოწყობილობებით, რომელიც უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში და გამართული.

ჰიდროაგრეგატის, კერძოდ ჰიდროტურბინის რეგულირების სისტემის ფუნქციონირებისათვის და ტურბინის რეგულირების სისტემაში საჭირო წნევის შექმნისათვის ზეთსაწნეო დანადგარში სადგურში დამონტაჟებულია 2 - 2 ერთეული (ძირითადი და სარეზერვო) სტაციონალური მაღალი წნევის საკომპრესორო დანადგარები (ტიპი **ВШ-3/40М**, წნევა - **40 კგძ/სმ²,** წარმადობა - **3 მ³/წთ**.).

არსებული საკომპრესორო დანადგარები ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად (ჰესი 1-ზე კომპრესორები ექსპლუატაციაში შეყვანილი იქნა 1976 წელს) არის ამორტიზირებული და გაუარესებულია აქვთ მუშა პარამეტრები, რის შედეგად საჭირო წნევაზე ჰაერის შესაჭირხნად სჭირდება დიდი დრო.

აღნიშნული ტექნიკური დავალება ითვალისწინებს 1 (ერთი) კომპლექტი სტაციონალური კომპესორის მოწოდებას არსებულის პარამეტრების შესაბამისად **(წნევა - 40 კგძ/სმ², წარმადობა - 3 მ³/წთ.)**

2. შესყიდვის საგანი: საკომპრესორო დანადგარი

- წნევა: 40 ატმ
- წარმადობა: 3 მ³/წთ
- ძაბვა: 380 ვ
- სიხშირე: 50 ჰც
- სტაციონალური
- ავტომატური გაშვების რეჟიმი: არა

3. მოთხოვნები

- საკომპესორო დანაგარი - დახურულ სათავსოში განლაგების, სტაციონალური.
- დანადგარი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციის გარეშე.
- დანადგართან ერთად მოწოდებული უნდა იყოს ასევე საკომპრესორო დანაგარის დოკუმენტაცია:
- დანადგარის პასპორტი
- ტექნიკური აღწერილობა (ქართულ ან რუსულ ენაზე)
- სამონტაჟო და საექსპლუატაციო დოკუმენტაცია (ქართულ ან რუსულ ენაზე).

4. მომსახურების პირობები:

- მოწოდება
- მონტაჟი
- შემდგომი საგარანტიო-საექსპლუატაციო მომსახურება.

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია